ციფრული უსაფრთხოების კომპეტენციების განვითარება საბაზო საფეხურის მოსწავლეებში ხაშურის #1 საჯარო სკოლის მაგალითზე

თამარ ჩხიკვაძე, ნინო ძანძავა, ნატა გოგიტიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი გიგა ხოსიტაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ჩხიკვაძე

ნინო ძანძავა

ნატა გოგიტიძე

30.06.2025

მადლობა

მადლობას ვუხდით სსიპ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორს ბატონ მორის დანდურიშვილს გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისთვის. ასევე, მადლობას ვუხდით ამავე სკოლის მასწავლებლების გუნდსა და მოსწავლეებს კვლევაში ჩართვისა და დახმარებისათვის.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორს, ჩვენი პრაქტიკის ხელმძღვანელს ბატონ გიგა ხოსიტაშვილს. ასევე, მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეულ ლექტორს - ქეთევან თოდაძეს. მათი უკუკავშირი, რჩევები, მხარდაჭერა და რეკომენდაციები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო მთელი კვლევის განმავლობაში.

აბსტრაქტი

მოცემული სამაგისტრო კვლევა წარმოადგენს პრაქტიკის კვლევას, რომელიც განხორციელდა სსიპ ხაშურის #1 საჯარო სკოლაში. საკვლევ საკითხს წარმოადგენდა საბაზო საფეხურის მოსწავლეების კომპეტენციები ციფრული უსაფრთხოების მიმართულებით.

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს, ციფრულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემატური საკითხები, რომლებიც აქტუალურია ხაშურის #1 საჯარო სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის; დასახოს მათი გადაჭრისთვის საჭირო გზები და განახორციელოს შესაბამისი აქტივობები, რითაც ხელი შეეწყობა ამ მიმართულებით სასკოლო საზოგადოების მდგრად განვითარებას. კერძოდ, გააძლიეროს ციფრული უსაფრთხოების კომპეტენციები საბაზო საფეხურის მოსწავლეებში, განავითაროს სასკოლო საზოგადოების ციფრული უნარები და გაზარდოს მშობელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესებში.

საკვლევი საკითხის შესწავლა განხორციელდა თვისებრივი კვლევის მეთოდით, კერძოდ, პრაქტიკის კვლევით. კვლევის ინსტრუმენტად კი ფოკუს-ჯგუფები და დოკუმენტაციის ანალიზი განისაზღვრა.

კვლევამ ცხადყო, რომ მოსწავლეები ციფრული უსაფრთხოების საკითხების შესახებ ზოგად თეორიულ ცოდნას ფლობენ, თუმცა მათ აქვთ ამ კომპეტენციების პრაქტიკაში ფლობისა და რეალურ გარემოში გამოყენების საჭიროება. ამას კი აფერხებს სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის ამ საკითხის ირგვლივ კავშირების ნაკლებობა. ამ საკითხის გადასაჭრელად დაიგეგმა შესაბამისი ინტერვენციებიც. კერძოდ, მეცხრე კლასის ინგლისური ენის საგნის კურიკულუმში დაინტეგრირდა კიბერუსაფრთხოების საკითხები, მოსწავლეებს ჩაუტარდათ ქეისის ანალიზის აქტივობა და მათ თავად გამართეს შეხვედრა მშობლებთან. აღნიშნულმა ინტერვენციებმა პოზიტიური გავლენა იქონია მოსწავლეების ციფრული კომპეტენციების განვითარებაზე, მათი სოციალური ცნობიერების ამაღლებასა და სასკოლო საზოგადოების (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი) ურთიერთანამშრომლობის გაუმჯობესებაზე.

ამრიგად, კვლევის შედეგად გამყარდა კავშირი სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის და საფუძველი ჩაეყარა ციფრული უსაფრთხოების საკითხების ფართო საგანმანათლებლო კონტექსტში გამოყენებას.

საკვანძო სიტყვები: ციფრული უსაფრთხოება, პირადი ინფორმაციის დაცვა, ციფრული მოქალაქეობა, ციფრული წიგნიერება.

Abstract

This master's research represents a practice-based study conducted at Public School #1 of Khashuri. The research focused on examining the digital safety competencies of lower secondary school students.

The aim of the study is to explore key challenges related to digital safety that are relevant to ninth-grade students at Khashuri Public School #1, to identify effective solutions, and to implement targeted activities that foster the sustainable development of the school community in this domain. Specifically, the study seeks to enhance digital safety competencies among lower secondary students, develop the digital skills of the broader school community, and increase parental involvement in the process.

The research employed a qualitative methodology, namely a practice-based research approach. Focus groups and document analysis were used as research instruments.

The findings revealed that although students possess general theoretical knowledge of digital safety, they lack the ability to apply these competencies in practice and in real-life contexts. This gap is largely attributed to limited collaboration and communication among members of the school community around digital safety issues. To address this, a series of interventions were designed and implemented. Specifically, cybersecurity topics were integrated into the ninth-grade English language curriculum; students participated in case study analysis activities; and they organized a meeting with parents to raise awareness. These interventions positively impacted students' digital competencies, increased their social awareness, and strengthened collaboration among teachers, students, and parents.

As a result, the study contributed to strengthening connections among members of the school community and laid the foundation for integrating digital safety issues into a broader educational context.

Keywords: digital safety, personal data protection, digital citizenship, digital literacy.